# კვირის მიმოხილვა



## ეკონომიკა

**საგარეო ვაჭრობა:** საქსტატის მონაცემებით, 2020 წლის ივნისში ექსპორტი წლიურად 14.0%-ით შემცირდა და 266.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. იმპორტი 22.0%-ით შემცირდა და 576.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. შედეგად, სავაჭრო დეფიციტი წლიურად 27.7%-ით შემცირდა 309.4 მლნ აშშ დოლარამდე. ჯამურად, 2020 წლის პირველ ნახევარში სავაჭრო დეფიციტი 21.3%-ით შემცირდა, რადგან ექსპორტი წლიურად 16.0%-ით, ხოლო იმპორტი 19.1%-ით შემცირდა. საგარეო ვაჭრობის დეტალური სტატისტიკა გამოქვეყნდება 2020 წლის 20 ივლისს.

**ფულადი გზავნილები:** 2020 წლის ივნისში ფულადი გზავნილები საგრძნობლად 17.8%-ით წ/წ გაიზარდა და 169.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ფულადი გზავნილები წლიურად გაიზარდა შემდეგი ძირითადი დონორი ქვეყნებიდან: იტალია (+38.8%), აშშ (+31.1%), საბერძნეთი (+16.5%) და ისრაელი (+3.6%). ამასთან, კლება დაფიქსირდა რუსეთიდან (-6.4%). ჯამურად, 2020 წლის პირველ ნახევარში ფულადი გზავნილები წლიურად 4.6%-ით შემცირდა და 769.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

**ტურიზმი:** ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციით, 2020 წლის ივნისში საერთაშორისო ვიზიტების (ტურისტები და ერთდღიანი ვიზიტორები) რაოდენობა წლიურად 94.8%-ით შემცირდა და 37.9 ათასი ვიზიტორი შეადგინა. ეს შემცირება განაპირობა როგორც ერთდღიანი ვიზიტების (-96.5% წ/წ), ისე ტურისტების რაოდენობის 93.9%-იანმა წლიურმა შემცირებამ (მთლიანი ვიზიტების 76.3%). ამასთან, ვიზიტების რაოდენობა შემცირდა ყველა მეზობელი ქვეყნიდან, მათ შორის: თურქეთიდან (-88.0% წ/წ), სომხეთიდან (-92.5% წ/წ), აზერბაიჯანიდან (-97.1% წ/წ) და რუსეთიდან (-97.7% წ/წ). ამასთან, ევროკავშირიდან საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობა წლიურად 98.6%-ით შემცირდა და 714 ვიზიტორი შეადგინა. ჯამურად, 2020 წლის პირველ ნახევარში ქვეყანაში სულ 1.2 მლნ (-61.9%) საერთაშორისო ვიზიტორი შემოვიდა, საიდანაც ტურისტულმა ვიზიტებმა 0.85 მლნ (-60.2%) შეადგინა. ამასთან 2020 წლის პირველ ნახევარში, სებ-ის შეფასებით, ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები 456.5 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა (-68.6% წ/წ).

### ფულადი გზავნილები




*წყარო: სებ*

### ეკონომიკური ინდიკატორები

| | 2017 | 2018 | 2019 |
|---|---|---|---|
| მშპ (%-ლი ცვლილება) | 4.8% | 4.8% | 5.1% |
| მშპ ერთ სულზე (ppp) | 11,485 | 12,417 | 13,559 |
| მშპ ერთ სულზე (აშშ $) | 4,359 | 4,722 | 4,763 |
| მოსახლეობა (მლნ) | 3.7 | 3.7 | 3.7 |
| ინფლაცია, პერიოდის ბოლო | 6.7% | 1.5% | 7.0% |
| მთლიანი რეზერვები (მლრდ აშშ $) | 3.0 | 3.3 | 3.5 |
| მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი (მშპ-ს %) | 8.1% | 6.8% | 5.1% |
| ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %) | 2.7% | 2.3% | 2.0% |
| სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %) | 39.4% | 38.9% | 39.8% |

*წყარო: ოფიციალური მონაცემები, გალტ & თაგარტი*

### მშპ-ს რეალური ზრდა, %




*წყარო: საქსტატი*

### საერთაშორისო რეიტინგები, 2019-20

- ბიზნესის კეთების სიმარტივე №7 (საუკეთესო 10-ეული)
- ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი №16 (ძირითადად თავისუფალი)
- -იგლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი №74

*წყარო: მსოფლიო ბანკი, Heritage Foundation და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი*

### საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი

| STANDARD & POOR'S | MOODY'S INVESTORS SERVICE | FitchRatings |
|---|---|---|
| **BB** | **Ba2** | **BB** |
| სტაბილური | სტაბილური | უარყოფითი |
| განახლებული | დადასტურებული | დადასტურებული |
| ოქტომბერი-2019 | მარტი-2020 | აპრილი-2020 |

*წყარო: სარეიტინგო სააგენტოები*

Please refer to important disclaimers on the final page of this document.

# ფულადი ბაზარი

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები:** საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2020 წლის 14 ივლისს 1-წლიანი 50 მლნ ლარის (16.3 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის სახაზინო ობლიგაციები გაყიდა. ამასთან, მოთხოვნა 1.9-ჯერ მაღალი იყო და საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 0.40პპ-ით შემცირდა და 8.295% შეადგინა. უახლოესი აუქციონი დაგეგმილია 2020 წლის 21 ივლისს, სადაც 10-წლიანი 40 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების ბენჩმარკ ობლიგაციები გაიყიდება.

**სახაზინო ფასიანი ქაღალდები, 2020 წელი**

| ვადიანობა | გამოშვება წლის დასაწყისიდან მლნ ლარი | დარჩენილი გამოშვება მლნ ლარი | დარჩენილი ვალდებულება* |
|---|---|---|---|
| 6-თვე | 250 | 100 | 230 |
| 1-წელი | 410 | 250 | 660 |
| 2-წელი | 490 | 350 | 1,350 |
| 5-წელი | 480 | 480 | 1,823 |
| 10-წელი | 70 | 80 | 959 |
| **სულ** | **1,700** | **1,260** | **5,021** |

*წყარო: ფინანსთა სამინისტრო*
*შენიშვნა: * 2020 წლის 30 ივნისის მდგომარეობით*

**სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი**




*წყარო: სებ*

**განხორციელებული ემისია და მოთხოვნა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ბოლო აუქციონებზე, მლნ ლარი**




*წყარო: სებ*

**მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, წლიური ინფლაცია და ლარის გაცვლითი კურსი**




*წყარო: სებ*

**ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები**




*წყარო: სებ*
*შენიშვნა: ინდექსის ზრდა ნიშნავს გაცვლითი კურსის გამყარებას, ხოლო კლება - გაცვლითი კურსის გაუფასურებას*

# ობლიგაციები

**კორპორატიული ევროობლიგაციები:** საქართველოს ბანკის ჯგუფის ევროობლიგაცია (GEBGG) დაიხურა 5.73%-იანი შემოსავლიანობით, ფასით 100.75 (+0.30% წინა კვირასთან შედარებით). საქართველოს კაპიტალის ევროობლიგაციებით (GEOCAP) ვაჭრობა დაიხურა ფასით 93.05 (+0.27% წინა კვირასთან შედარებით), 8.38%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის ევროობლიგაციებით (GEOROG) ვაჭრობა დაიხურა ფასით 100.32 (+0.30% წინა კვირასთან შედარებით), 6.30%-იანი შემოსავლიანობით. საქართველოს რკინიგზის ევროობლიგაცია (GRAIL) ივაჭრებოდა 102.48 ფასად (+0.32% წინა კვირასთან შედარებით), 6.39%-იანი შემოსავლიანობით.

**საქართველოს სუვერენული ევროობლიგაცია** (GEORG) დაიხურა ფასით 102.44 (+0.10% წინა კვირასთან შედარებით), 3.43%-იანი შემოსავლიანობით.

### ევროობლიგაციები (შემოსავლიანობა)




*წყარო: Bloomberg*

### ევროობლიგაციები




*წყარო: Bloomberg*

### ქართული ობლიგაციების ძირითადი მონაცემები

| გამომშვები | ვალუტა | მოცულობა, მლნ აშშ $ | კუპონი | დაფარვის თარიღი | რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/ Scope) | საშუალო ფასი | საშუალო პროცენტი, % | Z-spread, bps |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ევროობლიგაციები** | | | | | | | | |
| Georgia | US$ | 500 | 6.875% | Apr-21 | BB/BB/Ba2 | 102.44 | 3.43 | 315.35 |
| GRAIL 07/22 | US$ | 500 | 7.750% | Jul-22 | BB-/B+/- | 102.48 | 6.39 | 616.64 |
| GEOROG 04/21 | US$ | 250 | 6.750% | Apr-21 | BB/BB-/- | 100.32 | 6.30 | 602.30 |
| GEBGG 07/23 | US$ | 350 | 6.000% | Jul-23 | BB-/-/Ba2 | 100.75 | 5.73 | 549.14 |
| GEBGG 11 1/8 PERP | US$ | 100 | 11.125% | n/a | B-/-/- | 98.66 | 9.83 | 1,129.17 |
| GEOCAP 03/24 | US$ | 300 | 6.125% | Mar-24 | -/B/B2 | 93.05 | 8.38 | 812.56 |
| SILKNET 04/24 | US$ | 200 | 11.000% | Apr-24 | B+/-/B1 | 104.42 | 9.54 | 928.80 |
| TBC 06/24 | US$ | 300 | 5.750% | Jun-24 | BB-/-/Ba2 | 100.21 | 5.69 | 542.29 |
| TBC PERP | US$ | 125 | 10.775% | n/a | B-/-/- | 96.03 | 10.30 | 1,171.97 |
| **ადგილობრივი ობლიგაციები** | | | | | | | | |
| GWP 12/21 | GEL | 30 | 12.50% | Dec-21 | BB-/-/-/- | n/a | n/a | n/a |
| M2CA 12/21 | US$ | 30 | 7.50% | Dec-21 | -/-/-/- | 99.32 | 8.00 | n/a |
| M2RE 10/22 | US$ | 35 | 7.50% | Oct-22 | -/-/-/- | 97.50 | 8.50 | n/a |
| GLC 08/20 | US$ | 10 | 7.00% | Aug-20 | B+/-/-/- | 100.22 | 5.00 | n/a |
| GLC 06/21 | US$ | 5 | 6.50% | Jun-21 | B+/-/-/- | 98.67 | 8.00 | n/a |
| GLC 08/21 | US$ | 10 | 7.50% | Aug-21 | B+/-/-/- | 99.50 | 8.00 | n/a |
| CRYSTAL 02/21 | GEL | 15 | 13.00% | Feb-21 | B/-/-/- | 100.00 | 12.50 | n/a |
| Nikora Trade 08/21 | GEL | 25 | 9.00% | Aug-21 | -/-/-/B+ | n/a | n/a | n/a |
| SILKNET 04/24 | GEL | 34 | 12.50% | Apr-24 | B+/-/B1/- | n/a | n/a | n/a |
| Geo. Beer Company | GEL | 25 | 13.00% | Dec-23 | -/-/-/BB- | n/a | n/a | n/a |
| Lisi Lake Development | US$ | 12 | 8.00% | Dec-21 | -/-/-/B+ | n/a | n/a | n/a |
| Tegeta 04/22 | GEL | 30 | 10.75% | Apr-22 | -/-/-/BB- | n/a | n/a | n/a |
| Swiss Capital 09/21 | GEL | 10 | 13.25% | Sep-21 | B-/-/-/- | 100.00 | 14.50 | n/a |
| EVEX 11/24 | GEL | 50 | 12.10% | Nov-24 | -/-/-/BB | n/a | n/a | n/a |

*წყარო: Bloomberg*

# ობლიგაციები

| აღმოსავლეთ ევროპის 10-წლიანი სუვერენული ევროობლიგაციების ძირითადი მონაცემები | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გამომშვები | ვალუტა | მოცულობა, მლნ აშშ $ | კუპონი | დაფარვის თარიღი | რეიტინგები (Fitch/S&P/Moody) | საშუალო ფასი | საშუალო პროცენტი, % | Z-spread, bps |
| Georgia | US$ | 500 | 6.875% | Apr-21 | BB/BB/Ba2 | 102.44 | 3.43 | 315.35 |
| Armenia | US$ | 500 | 6.000% | Sep-20 | BB-/-/Ba3 | 99.91 | 6.39 | 616.69 |
| Azerbaijan | US$ | 174 | 2.820% | Sep-21 | BB+/-/Ba2 | 100.76 | 2.12 | 187.27 |
| Belarus | US$ | 800 | 6.875% | Feb-23 | B/B/B3 | 100.02 | 6.86 | 663.13 |
| Kazakhstan | US$ | 1,500 | 3.875% | Oct-24 | BBB/BBB-/Baa3 | 109.56 | 1.53 | 125.24 |
| Turkey | US$ | 2,000 | 5.625% | Mar-21 | BB-/-/B1 | 101.50 | 3.40 | 312.48 |
| Ukraine | US$ | 1,409 | 7.750% | Sep-21 | B/B/Caa1 | 102.80 | 5.12 | 486.72 |

*წყარო: Bloomberg*

# აქციები

**საქართველოს ბანკის ჯგუფის** (BGEO LN) აქციები დაიხურა 8.96 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -14.18% წინა კვირასთან შედარებით და -18.55% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 377 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 8.81 – 10.66 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 71 ათასი აქცია შეადგინა.

**Georgia Capital-ის** (CGEO LN) აქციები დაიხურა 4.10 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -6.83% წინა კვირასთან შედარებით და -13.79% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 261 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 4.01 – 4.43 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 48 ათასი აქცია შეადგინა.

**თიბისი ბანკის ჯგუფის** (TBCG LN) აქციები დაიხურა 8.00 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -9.71% წინა კვირასთან შედარებით და -12.66% წინა თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 220 ათასს გადააჭარბა, GBP 7.71 – 9.12 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 43 ათასი აქცია შეადგინა.

**საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის** (GHG LN) აქციები დაიხურა 0.88 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -9.28% წინა კვირასთან შედარებით და -2.22% წინა თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 152 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 0.84 – 0.99 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 36 ათასი აქცია შეადგინა.

**საქართველოს ბანკის ჯგუფი (BGEO LN)**




*წყარო: Bloomberg*

**თიბისი ბანკის ჯგუფი (TBCG LN)**




*წყარო: Bloomberg*

**საქართველოს კაპიტალი (CGEO LN)**




*წყარო: Bloomberg*

**საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი (GHG LN)**




*წყარო: Bloomberg*

# აქციები

## აღმოსავლეთ ევროპის ბანკები

| | ტიკერი | ვალუტა | აქციის ფასი | კაპიტალიზ. მლნ აშშ $ | 6 თვე, ცვლ. | წ/წ ცვლ. | წლის დას. ცვლ. | P/E 2019 | P/E 2020F | P/B 2019 | P/B 2020F |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| Bank of Georgia | BGEO | GBP | 8.96 | 441 | -43.3% | -44.6% | -44.9% | 3.48x | 7.18x | 0.76x | 0.71x |
| TBC | TBC | GBP | 8.00 | 440 | -37.0% | -48.1% | -38.5% | 3.14x | 7.31x | 0.61x | 0.59x |
| Halyk Bank | HSBK | US$ | 11.85 | 3,482 | -19.7% | -12.5% | -11.2% | 4.15x | 4.93x | 0.99x | 0.95x |
| VTB Bank | VTBR | US$ | 0.92 | 5,936 | -40.8% | -32.1% | -37.4% | 2.26x | 4.75x | 0.34x | 0.33x |
| Akbank | AKBNK | TRY | 5.82 | 30,264 | -34.0% | -21.2% | -28.2% | 4.86x | 4.94x | 0.50x | 0.51x |
| Garanti | GARAN | TRY | 7.93 | 33,306 | -35.0% | -16.8% | -28.8% | 4.46x | 4.61x | 0.53x | 0.54x |
| Isbank | ISCTR | TRY | 5.32 | 23,940 | -25.1% | -15.7% | -17.0% | 3.56x | 4.11x | 0.37x | 0.38x |
| PKO | PKO | PLN | 23.40 | 29,250 | -33.1% | -43.9% | -32.1% | 6.68x | 13.06x | 0.68x | 0.67x |
| PEKAO | PEO | PLN | 55.38 | 14,536 | -46.5% | -47.1% | -44.9% | 6.39x | 14.00x | 0.60x | 0.60x |
| Millennium | MIL | PLN | 3.04 | 3,683 | -50.6% | -63.6% | -48.1% | 4.80x | 18.04x | 0.39x | 0.41x |
| Mbank | MBK | PLN | 212.60 | 9,001 | -44.8% | -46.0% | -45.4% | 6.99x | 19.25x | 0.53x | 0.54x |
| BRD | BRD | RON | 11.60 | 8,084 | -27.3% | -14.3% | -26.8% | 5.27x | 10.34x | 1.02x | 0.92x |
| Banca Transilvania | TLV | RON | 2.10 | 10,927 | -20.2% | -10.3% | -19.3% | 5.95x | 13.41x | 1.23x | 1.54x |
| OTP | OTPD | USD | 22.80 | 12,768 | 7.5% | 7.5% | 7.5% | 9.60x | 17.21x | 0.82x | 0.77x |
| Komercni | KOMB | CZK | 575.00 | 109,278 | -29.3% | -35.8% | -30.7% | 7.03x | 13.78x | 1.00x | 0.95x |
| *საშუალო* | | | | | | | | ***5.24x*** | ***10.46x*** | ***0.69x*** | ***0.69x*** |
| *მედიანა* | | | | | | | | ***4.86x*** | ***10.34x*** | ***0.61x*** | ***0.60x*** |

*წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ*

## ინვესტიციების მართვის შესადარი კომპანიები

| | ტიკერი | ვალუტა | აქციის ფასი | კაპიტალიზ. მლნ აშშ $ | 6 თვე, ცვლ. | წ/წ ცვლ. | წლის დას. ცვლ. | P/E 2019 | P/E 2020F | P/B 2019 | P/B 2020F |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| Georgia Capital | CGEO | GBP | 4.10 | 150 | -51.8% | -59.7% | -55.6% | 5.53x | n/a | 0.39x | n/a |
| Tinc Comm | TINC | EUR | 13.55 | 370 | -0.4% | 9.2% | 1.5% | n/a | n/a | n/a | n/a |
| Sabanci Holding | SAHOL | TRY | 9.45 | 19,282 | -10.3% | 4.0% | -0.9% | 4.39x | 3.95x | 0.51x | 0.51x |
| Deutsche Beteiligungs | DBAN | EUR | 29.00 | 436 | -29.6% | -8.1% | -26.5% | 10.93x | nmf | 0.98x | 1.14x |
| Eurazeo | RF | EUR | 46.76 | 3,683 | -24.7% | -22.8% | -23.3% | 11.64x | 27.17x | 0.70x | 0.67x |
| Carlyle Group | CG | USD | 28.85 | 3,193 | -13.3% | 21.9% | -10.1% | 16.65x | 5.80x | 1.78x | 4.96x |
| *საშუალო* | | | | | | | | ***9.83x*** | ***12.31x*** | ***0.87x*** | ***1.82x*** |
| *მედიანა* | | | | | | | | ***10.93x*** | ***5.80x*** | ***0.70x*** | ***0.90x*** |

*წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ*

## ჯანდაცვის სექტორის შესადარი კომპანიები

| | ტიკერი | ვალუტა | აქციის ფასი | კაპიტალიზ. მლნ აშშ $ | 6 თვე, ცვლ. | წ/წ ცვლ. | წლის დას. ცვლ. | P/E 2019 | P/E 2020F | EV/EBITDA 2019 | EV/EBITDA 2020F |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| GHG | GHG | GBP | 0.88 | 116 | -31.3% | -63.3% | -28.5% | 9.18x | 7.09x | 4.64x | 4.69x |
| Mouwasat | MOUWASAT | SAR | 99.50 | 9,950 | 16.1% | 10.7% | 13.1% | 25.56x | 23.46x | 17.44x | 16.85x |
| Fortis | FORH | INR | 128.55 | 97,050 | -9.2% | -1.4% | -2.5% | 1.52x | 1.44x | 6.46x | 6.68x |
| Raffles | RFMD | SGD | 0.93 | 1,700 | -9.7% | -10.6% | -7.0% | 27.90x | 34.26x | 17.78x | 19.88x |
| IHH | IHH | MYR | 5.33 | 46,765 | -5.3% | -7.6% | -2.6% | 50.54x | 69.95x | 14.75x | 17.81x |
| Bangkok Chain | BCH | THB | 14.70 | 36,658 | -7.5% | -1.3% | -14.0% | 29.27x | 31.36x | 16.28x | 16.87x |
| Netcare | NTC | ZAR | 14.25 | 20,689 | -32.0% | -17.4% | -26.8% | 8.57x | 18.28x | 5.63x | 9.39x |
| Life Healthcare | LHC | ZAR | 19.07 | 27,982 | -24.3% | -16.1% | -22.6% | 14.61x | 40.89x | 6.51x | 9.18x |
| Mediclinic | MDC | GBP | 2.63 | 1,942 | -35.8% | -21.8% | -36.0% | 9.49x | 10.57x | 7.29x | 7.17x |
| Apollo Hospitals | APHS | INR | 1,499.20 | 208,576 | -7.4% | 8.3% | 4.0% | 69.89x | 62.76x | 21.71x | 15.56x |
| KPJ Healthcare | KPJ | MYR | 0.80 | 3,428 | -16.2% | -18.4% | -15.3% | 17.72x | 21.83x | 8.77x | 10.13x |
| NMC | NMC | GBP | 9.38 | 1,959 | -39.7% | -59.0% | -46.9% | n/a | n/a | n/a | n/a |
| *საშუალო* | | | | | | | | ***24.02x*** | ***29.26x*** | ***11.57x*** | ***12.20x*** |
| *მედიანა* | | | | | | | | ***17.72x*** | ***23.46x*** | ***8.77x*** | ***10.13x*** |

*წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ*

# მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტის" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლიანობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

**გალტ ენდ თაგარტი**
**მისამართი:** აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102, საქართველო
**ტელ:** + (995) 32 2401 111
**ელ. ფოსტა:** gt@gt.ge